

## ნიგალის ხეობა დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ (1878-1921 წწ.)

ნიგალის ხეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სტრატეგიულ რეგიონს წარმოადგენდა. ამიტომაც, მნიშვნელოვანი და აქტუალურია ხეობის 1878-1921 წლების ისტორიული პერიოდის შესწავლა. კვლევის სიახლეა ის, რომ ისტორიული წყაროებისა და საარქივო მონაცემების საფუძველზე ნაშრომში პირველადაა წარმოჩენილი ნიგალის ხეობის მდგომარეობა 1878-1921 წლებში.

ნიგალის ხეობა აქტიურად მონაწილეობდა ოსმალთა ბატონობისგან ისტორიული მიწა-წყლის განთავისუფლებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

ომისთვის მზადების წინა პერიოდში ამ მხარეში მოსახლეობის პოზიციების დასაზუსტებლად საგანგებოდ იმოგზაურეს ივ. კერესელიძემ, ა. მეფისაშვილმა, გ. ყაზბეგმა და სხვა პიროვნებებმა. ეროვნულ-პატრიოტული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ კუთხის შვილის, გავლენიანი პირის, ახმედ ხალვაშის პოზიციას. იგი აშკარად გამოხატავდა განმანთავისუფლებელი ომისადმი მხარდაჭერას. საომარი მოქმედებების პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობა მასობრივად გადადიოდა რუს-ქართველთა რაზმების მხარეს.

მართალია, 1877 წ. საბრძოლო ოპერაციების დროს რუს-ქართველთა ჯარის მიერ ვერ განთავისუფლდა აჭარა და ნიგალის ხეობა, მაგრამ ბალკანეთში მიმდინარე წარმატებული საომარი ოპერაციების შედეგად ბრძოლის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იქნა. 1878 წელს სან-სტეფანოსა და შემდგომ ბერლინის კონგრესის თანახმად ნიგალის ხეობა სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის წარმატებით დამთავრებასა და მიტაცებული ტერიტორიების დედასამშობლოსთან დაბრუნებას აღფრთოვანებით შეხვდა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა. ერთიან ქართულ ოჯახს დაუბრუნდა აჭარა, ჭოროხის მხარე, ლაზეთი, რომელიც შემდეგ ბათუმის ოლქში გაერთიანდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგების სახით. ნიგალის ხეობა ართვინის ოკრუგში შედიოდა.

1883 წლის 27 ივნისს ბათუმის ოლქი გაუქმდა და იწოდებოდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგებად. ოკრუგები – უბნებად, უბნები უმცირეს ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულებად – სასოფლო საზოგადოებებად დაიყო. ისტორიული ნიგალის ხეობა კი ადმინისტრაციულად ორ ნაწილად

გაიყო. ერთი ნაწილი ქლასკურის, მარადიდის, ბელღევანის, ბორჩხის, დევსქელის სასოფლო საზოგადოებების სახით ბათუმის ოკრუგში შედიოდა, ხოლო მეორე ნაწილი – ქართლას, ხატილას, სვეტიბარის, ხოდის, ძანსულის, სასოფლო საზოგადოებები – ართვინის ოკრუგში გაერთიანდა.<sup>1</sup>

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ დედასამშობლოსთან დაბრუნებულმა ნიგალის ხეობის მოსახლეობამ და სხვა შემოერთებულმა რაიონებმა დიდი უბედურება განიცადა მუჰაჯირობის შედეგად, რაც განპირობებული იყო მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური, ეკონომიკური, რელიგიური ან სხვა მიზეზებით.

ადგილობრივი მოსახლეობისათვის აუტანელი იყო საგადასახადო სისტემა, სამხედრო ბეგარა და სხვა. ბათუმის ოლქის მოსახლეობას განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვა რუსული საბაჟო სისტემა. დ. კლდიაშვილი წერდა: „ქალაქის გარშემო სადარაჯოები იყო, ყოველი გამვლელ-გამომვლელი იჩხრიკებოდა, ყოველ გატანილ საქონელზე რაც უნდა მცირე ყოფილიყო, ბაჟი უნდა გადაეხადა. დაზვერვა, გასინჯვა ბარგისა ხშირად იწვევდა დიდ უსიამოვნებას და შევიწროებას“.<sup>2</sup>

ასეთი ხელოვნურად შექმნილი ბარიერები ქმნიდა მასობრივი არეულობისა და გამოსვლების საბაზს, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობის მუჰაჯირად ლტოლვას ოსმალეთში. ამის საუკეთესო გამოხატულებაა 1879 წლის მღელვარება აჭარასა და ნიგალის ხეობაში. გ. წერეთელი ნიგალის ხეობაში არეულობის გამომწვევი მიზეზების შესახებ წერდა: „ართვინის მახრამში არეულობა პირველად იმისგან მოხდა, რომ მურღულის საზოგადოებაში გურიის დრუჟინის კამანდას ნება არ მისცეს სოფელ ნაქალაქევს და ბაშქოიში დაბინავებულიყო“.<sup>3</sup> ბუნებრივია, ასეთი რთული სიტუაცია ქმნიდა მუჰაჯირობის წინაპირობას, მოსახლეობა იძულებული იყო მიეტოვებინა მშობლიური მიწა-წყალი და ოსმალეთში გახიზნულიყო.

ამ პერიოდში ოსმალთა აგენტები ყოველწლიურად ცდილობდნენ მუჰაჯირობის პროვოცირებას, რასაც ხელს უწყობდა რუსი მოხელეების მოქმედებაც.

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები გადასახლებულთა რაოდენობაზე, მაგრამ არსებულითაც ნათელი ეფინება მუჰაჯირობის მასშტაბებსა და მიმდინარეობას.

<sup>1</sup> ცინცაძე, *ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა*, გვ. 95,99; ბარამიძე, *საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში*, გვ. 115-127.

<sup>2</sup> კლდიაშვილი, *ჩემი ცხოვრების გზაზე*, გვ. 34.

<sup>3</sup> წერეთელი, *არეულობის მიზეზი აჭარა ლივანაში*, გვ. 2.

ნიგალში შემავალ მურღულის ხეობაში რუსთა ჯარის შესვლისა და მათი თვითნებობით გამოწვეული უკმაყოფილებების გამო 1879 წელს გასახლებულა მოსახლეობის დიდი ნაწილი.<sup>1</sup> მუჰაჯირთა მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. წამსვლელთა ნაწილი ვერ იტანდა მგზავრობას და გზაშივე იღუპებოდა. ადგილზე ჩასულებს რთულ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. ზოგი შიმშილსა და სიცივისაგან კვდებოდა. სურსათისათვის თავიანთ მამულში აგზავნიდნენ სანდო პირებს, საიდანაც მიჰქონდათ შეკრებილი დახმარება ფულისა და ნატურის სახით. ივ. ჯაიანი, რომელიც თავად იყო ამ პროცესის მნახველი, წერდა: „დღე არ იქნება, რომ იქედან მომსვლელი ხუთი-ექვსი კაცი არ მოადგეს აქაურ მცხოვრებს კარზე პურის, სიმინდის, კაკლის და ლობიოს სათხოვნელად“.<sup>2</sup>

გადასახლებულთა გარკვეული ნაწილი ოფიციალური ნებართვის გარეშე უკან ბრუნდებოდა. ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ზოგი თავის სახლში შევიდა, ზოგი სხვაგან, მაგრამ მურღული მაინც ცარიელი იყო, რადგანაც რაც აქედან მუჰაჯირად წავიდა, იმის მეათედი არ გადმოსახლდა, უმეტესი ნაწილი განყდა თურმე შიმშილისა და ავადმყოფობისაგან“.<sup>3</sup> მუჰაჯირობის პროცესი შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. იგი განსაკუთრებით მძაფრად განიცადა მურღულის ხეობის მოსახლეობამ. მმართველ წრეებს არაფრად მიაჩნდათ მოსახლეობის აყრა-გადასახლება. პირიქით, ისინი ამ პროცესს ხშირად ხელსაც უწყობდნენ. ასეთ მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ ხელისუფლების ცდები მურღულის ხეობაში მაღაკანების გადმოსახლებისა, რაც გახდა აქაური მოსახლეობის სხვაგან გახიზვნის საბაზი. არსებული ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ გადასახლების დღიდან 1881 წლამდე მურღულის ხეობის 32 სოფლიდან მხოლოდ სამ სოფელში დარჩა მოსახლეობა. დანარჩენი 10.000 მცხოვრებიდან 4.000 სული წავიდა.<sup>4</sup>

დიდი გაჭირვება განიცადეს 1880 წელს გადასახლებულმა ნიგალელ-მარადიდლებმა. მუჰაჯირობამ შედარებით ფართო ხასიათი მიიღო 90-იან წლებში. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, რომელიც დედე ალა ნიჟარაძისაგან ჩაუწერია, ირკვევა, რომ 1890 წელს ნიგალის ხეობის რეგიონებიდან (მურღულიდან, ჩხალიდან, ქ. ართვინიდან) ათასობით სული გადასახლდა. ამავე ცნობებით ჩანს, რომ 1892 წელს ნიგალის ხეობის 46 სოფლიდან 1.000 კომლზე მეტი წასულა, მაგრამ ბევრი უკანვე დაბრუნებულა. მუჰაჯირთა დანატოვარ მიწებზე მურღულის ხეობაში ხშირად აჭარიდან და იმერეთიდან ჩა-

<sup>1</sup> ჭიჭინაძე, *წერილი მურღულიდან* („ივერია“, № 171).

<sup>2</sup> ჯაიანი, *წერილები შავშეთიდან*, გვ. 63.

<sup>3</sup> ჭიჭინაძე, *წერილი მურღულიდან* („ივერია“, № 172).

<sup>4</sup> Юрченко, *Заметки о поездке*.

სულები სახლდებოდნენ, რასაც კეთილგანწყობილებით ხვდებოდა ადგილზე დარჩენილი მოსახლეობა.

ივ. ჯაიანის ცნობებით, ოსმალეთის მმართველობის პერიოდში სოფელ ბორჩხაში 137 კომლი აღირიცხებოდა, რაც 1894 წლისათვის 22-მდე შემცირდა. სხვები ოსმალეთში გადასახლდნენ.<sup>1</sup>

გადასახლებულთა რაოდენობის დადგენისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არსებული ცნობები ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს არ ემყარება. ეს ცნობები მთხრობელთა გადმოცემებსა და ზეპირი ინფორმაციის საფუძველზეა შედგენილი. ამდენად, ისინი, შეიძლება ზუსტი არ იყოს.

მონინავე ქართველი საზოგადოების ნაწილს კარგად ესმოდა ის დიდი საფრთხე, რასაც მუჰაჯირობა უქადაა განთავისუფლებული მხარის მოსახლეობას. ამიტომ ისინი გასახლების წინააღმდეგი იყვნენ. ამ საქმეში ნიგალის ხეობაში დიდი როლი ითამაშა მარადიდის უფროსმა ახმედ ხალვაშმა. მასთან ერთად გასახლების წინააღმდეგ გამოდიოდა სოფ. დამპალის საზოგადოების მუხტარი გენჯალა ბოლქვაძე. მან დიდი მუშაობა გასწია მოსახლეობის ადგილზე დასარჩენად, რისთვისაც მას ბევრიც გადაემტერა. 1894 წ. 4 ივნისს იგი სოფ. ქართლადან მომავალი ვერაგულად მოკლეს.<sup>2</sup>

ჩვენს მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით, ნიგალის ხეობის სოფლებიდან მუჰაჯირად წასულთა უმეტესობა შემდეგ დასახლებულა ბურსაში, ინეგოლში, ადაბაზარში, იზმითში და სხვა ქალაქებში. მათი შთამომავლობა დღეს თურქეთის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებშია გაფანტული, რომელთაც კარგად ახსოვთ თავიანთი წარმომავლობა და თავდაპირველ საცხოვრისზეც გატაცებით საუბრობენ.

1877-1878 წწ. ომის შემდეგ შედარებით სიმშვიდე ჩამოვარდა და შედეგმაც არ დააყოვნა. რამდენადმე გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება, დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ფართოდ გაიშალა სამშენებლო საქმიანობა. გაჰყავდათ გზები, შენდებოდა ხიდები და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბუნებრივი რესურსების გამოვლენა-შესწავლას. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მურღულის ხეობაში სოფ. ძანსულის სპილენძით მდიდარი საბადო. ა. წულაძის დახასიათებით იგი მთელ კავკასიაში იპყრობდა ყურადღებას.<sup>3</sup> ნიგალის ხეობაში სპილენძის სამთამადნო ცენტრებს წარმოადგენდა ართვინის ზემოთ ხოლდურსუს ხეობაში მდებარე ხოდის, აგრეთვე სოფელ კვარცხანის საბადოები. საფუძველი ჩაეყარა სამთამადნო

<sup>1</sup> ჯაიანი, *წერილები შავშეთიდან*, გვ. 27.

<sup>2</sup> ჯაიანი, *წერილები შავშეთიდან*, გვ. 80.

<sup>3</sup> წულაძე, *ს. ძანსული*.

წარმოებას. თავდაპირველად ადგილზე მადნის გადამამუშავებელი ქარხანა არ არსებობდა. მოპოვებული მადანი ჭოროხის სამდინარო და სახმელეთო გზით ერგეში ჩაჰქონდათ, სადაც 1889-1890 წლებიდან მოქმედებდა სპილენძის სადნობი ქარხანა. მომდევნო წლებში სპილენძის სადნობი ქარხნები უშუალოდ მადნის მოპოვების ახლოს ხოდში, დანსულსა და კვარცხანაში აიგო. 1910 წლისათვის დანსულში ყოველთვიურად აღნობდნენ 1.200 ფუთ სპილენძის ზოდს, რომელსაც ბათუმ-ართვინის საავტომობილო გზის გაყვანამდე ბათუმში აგზავნიდნენ, აქედან კი რუსეთში.<sup>1</sup> ა. წულაძის ცნობით, სპილენძით დანსული კვებავდა პუტილოვის ცნობილ ქარხანას რუსეთში.<sup>2</sup>

ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი სამთამადნო წარმოებაში იყო დასაქმებული. აქვე სამუშაოზე მიეშურებოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. ასევე იყვნენ კახეთიდან, კერძოდ ქიზიყიდან ჩამოსული მუშები, თუმცა ისინი მალევე უკან დაბრუნებულან.<sup>3</sup> 1.000 მუშა შრომობდა კვარცხანის, 3.000-მდე დანსულის საბადოებზე. მათ შორის იყვნენ აჭარიდან, შავშეთიდან, ლაზეთიდან ჩასულები. აქ უცხოელი წარმოშობის მუშებიც საქმიანობდნენ.<sup>4</sup> დასაქმებულთა პირობები ცუდი იყო. ანაზღაურება კი სამუშაოს შესაბამისი არ ყოფილა. ინგლისური კომპანიები აუტანელ პირობებში ამუშავებდა მუშებს.

სამთამადნო წარმოების განვითარებით გამოწვეულმა მოსახლეობისა და სავაჭრო ურთიერთობის ზრდამ დააჩქარა ისეთი ქალაქური ტიპის დასახლებების წარმოქმნა, როგორცაა ბორჩხა, დანსული, მურღული. მარტო დანსულში ა. წულაძის ცნობით, ომის წინა ხანებში არსებული 10-15 კომლის ნაცვლად 1916 წლისათვის 3.000 მცხოვრები იყო. პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლებში სამთამადნო წარმოება დაეცა.

ომის შემდგომ გამოცოცხლდა ართვინის საქალაქო ცხოვრებაც. თუმცა მოსახლეობის უმრავლესობას არაქართველები შეადგენდნენ. მათი რიცხვი 500 კომლს ითვლიდა. 1879 წლის მონაცემებით მოსახლეობის საერთო რაოდენობა ართვინში 2.000 კაცს შეადგენდა.

საქალაქო ცხოვრების ზრდასთან ერთად გართულდა კრიმინოლოგიური სიტუაცია. გახშირდა ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობა. მათი დიდი ნაწილი გამოუძიებელი რჩებოდა.<sup>5</sup>

ართვინი ნიგალის ხეობაში ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქში ადრიდანვე სავაჭროდ დადიოდა იმერხევის მო-

<sup>1</sup> კახიძე, *სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში*, გვ. 36.

<sup>2</sup> წულაძე, *ს. დანსული*.

<sup>3</sup> ხოსიტაშვილი, *ართვინი ქართული პრესის ფურცლებზე*, გვ. 52.

<sup>4</sup> „ახალი კვალი“, 1916, 2 მაისი.

<sup>5</sup> ხოსიტაშვილი, *ართვინი ქართული პრესის ფურცლებზე*, გვ. 43.

სახლეობა. აქ თავს იყრიდნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთიდან მოსული ვაჭრები. ართვინში უცხოელთა სავაჭრო კომპანიებიც მოქმედებდა. შესყიდვის ძირითადი საგანი იყო ყარსიდან და შავშეთიდან შემოტანილი ხორბალი, ადგილობრივი ლივანური წარმოების სელი, აბრეშუმი, ზეთისხილი და სხვა.

ქალაქის ზრდასა და კეთილმოწყობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ართვინი აქტიურად ჩაერთო შავი ზღვის სავაჭრო ქსელში და ბათუმი-ყარსის მაგისტრალის ამოქმედების შემდეგ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად გადაიქცა.<sup>1</sup>

ართვინში XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის გაიხსნა სკოლა. იგი თავდაპირველად ორკლასიანი სასწავლებელი იყო.

სამწუხაროდ, ართვინის სკოლის დაარსება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გვერდის ავლით, უშუალოდ კავკასიის განათლების უწყების ნებართვით მოხდა. როგორც ჩანს, სკოლაში ეროვნულ ენაზე სწავლება იზღუდებოდა. ართვინშივე არსებობდა რამდენიმე კათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული საეკლესიო-სამრევლო სკოლა.<sup>2</sup>

დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ნიგალის ხეობაში გამოცოცხლებას იწყებს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება. დღის წესრიგში დადგა ქართულ ენაზე წერა-კითხვის გავრცელება, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით ახმედ ხალვაშს, ივ. ჯაიანს. ეს უკანასკნელი გარკვეული წლების განმავლობაში ბორჩხაში მსახურობდა და თავად ასწავლიდა აქაურ ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას. ამ მხრივ დიდია ზ. ჭიჭინაძის როლიც. მან ფეხით მოიარა ნიგალის ხეობის სოფლები და საფუძველი ჩაუყარა ქართული წერა-კითხვისა და ქართული წიგნის გავრცელების საქმეს. ზ. ჭიჭინაძე ნიგალის ხეობის შესახებ გულისტკივილით წერდა: „მთელს ამ ხეობაში წერა-კითხვის მცოდნე კაცი სრულად არ შეგხვდება. ამათში მოლებისა და ხოჯების გარდა წერა-კითხვა არავინ იცის, არც ოსმალური და არც ქართული. ამათი სამშობლო ენა ქართული არის. ბავშვები ძლიერ ცქვიტნი და მალხაზნი არიან. ამათ რომ პატრონი ჰყავდეთ, მაშინ ერთი თვის განმავლობაში ესენი ქართულ ანბანს კარგად დაისწავლიან. სოფელში იხვეწებიან, რომ ეგებ მოხვიდეთ და გვასწავლოთ“.<sup>3</sup> იგი გამოთქვამდა იმედს, რომ ქართული სკოლის გახსნა და ქართულ ენაზე სწავლების შემოღება წინ წასწევდა მათ კულტურულ ცხოვრებას.

<sup>1</sup> სამუშია, *ართვინის (ლივანის ციხე)* – სამუშია ჯ., *ართვინის (ლივანის ციხე)*, „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები“, ტ 1, თბილისი, 2020, გვ. 24.

<sup>2</sup> ბასილაძე, *განათლების საკითხისათვის ართვინში (1878-1921 წლები)*, გვ. 104.

<sup>3</sup> ჭიჭინაძე, *მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში*, გვ. 148.

აქაური ბავშვები ქართულ სიტყვებს თურქული ასოებით წერდნენ და ისე სწავლობდნენ. ს. ბავრელის შეკითხვაზე: „თუ იცით ქართული წერა-კითხვა“, მარადიდელმა მენავემ, ვინმე ოსმანმა, ასე უპასუხა: „კი ბატონო, მუსლიმანჯა ვიცი, გურჯიჯა არა. ჩვენ იმისთანა ქითაბები გვაქვს, რომ იმაში სწერია გურჯიჯა სიტყვები თურქული იაზებით“<sup>1</sup> ანუ ასოებით. ამისათვის აუცილებელი იყო ქართული სკოლის გახსნა, ასეთი სკოლა მართლაც გაიხსნა ახმედ ხალვაშის თაოსნობით.

ახმედ ხალვაშმა, მოსახლეობის სურვილის შესაბამისად, განცხადებით მიმართა ქუთაისის გუბერნატორს მარადიდში სკოლის გახსნის თაობაზე, რაც კიდევაც განხორციელდა 1884 წელს. ეს იყო პირველი ქართული დაწყებითი სკოლა, რომელშიც ქართულ ენასთან ერთად რუსულსაც ასწავლიდნენ.

1886 წელს გაზეთი „ივერია“ მკითხველს აუწყებდა: „მარადიდში უკვე დაარსდა სკოლა ქუთაისის საერო სასწავლებლის დირექციის მიერ. ამ სკოლაში მასწავლებლად დაინიშნა პეტროვი“.<sup>2</sup> სამწუხაროდ, ამ სკოლას დიდი ხანს არ უარსებია. ახმედ ხალვაშის გარდაცვალების შემდეგ მოსწავლეთა რიცხვმა თანდათანობით იკლო. რადგან მასწავლებელი რუსი იყო და არ იცოდა ქართული ენა, ბავშვებს კი მისი არაფერი გაეგებოდათ. ამასთან ერთად იგი ხშირად თვრებოდა და სასტიკად სცემდა მოწაფეებს. ასეთი ურიგო მასწავლებლის ყოფაქცევამ ხელი შეუწყო სკოლის დახურვას.<sup>3</sup>

მარადიდელი ახალგაზრდების სწავლა-განათლების მიღებით დაინტრესებული ყოფილა აგრეთვე ახმედის ვაჟი ჰარუნ ეფენდ ხალვაში. მას მამის სიკვდილის შემდეგ საკუთარი სახსრებით ქართული ენის მასწავლებელი მოუწვევია, მაგრამ წინა რუსი მასწავლებლის არასახარბიელო ქცევით უკმაყოფილო მოსახლეობას ხალვაშების გვარის გარდა ბავშვები არ მოუყვანიათ.<sup>4</sup>

90-იან წლებში კვლავ დაისვა საკითხი მარადიდში სკოლის აღდგენის თაობაზე. ამის შესახებ გაზეთი „კვალი“ იტყობინებოდა: „დღეს აქ ძლიერ საჭიროა სკოლის გახსნა. თვით ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც შეიგნეს წერა-კითხვის აუცილებლობის საჭიროება, მაგრამ ვინ არის იმისთანა, რომ ეს ითავოს. შარშან აქაურმა საზოგადოებამ გადაწყვიტა თხოვნის მიცემა გუბერნატორთან სკოლის გახსნაზე. თხოვნა კიდევ გაიგზავნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით პასუხი არ მოსულა“.<sup>5</sup>

როგორც ვნახეთ, ნიგალის ხეობის ქართველი მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენდა საგანმანათლებლო ცხოვრებისადმი. ეს იმით იყო გამოწვეუ-

<sup>1</sup> ბავრელი, *ნავით მოგ ზაურობა ქოროხზე*.

<sup>2</sup> „ივერია“, 1886, №52.

<sup>3</sup> მალაყმაძე, *ლიგანის ხეობა*, გვ. 47.

<sup>4</sup> ჭიჭინაძე, *მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში*, გვ. 153, 155.

<sup>5</sup> „კვალი“, 1896, №44.

ლი, რომ ოსმალური რეჟიმის მიუხედავად ქართული სალაპარაკო ენა მაინც იჩენდა სიცოცხლისუნარიანობას, მოსახლეობამ ძირითადად შეინარჩუნა ქართული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, რაც მთავარია მშობლიური ქართული ენა. ამ საქმეში დიდი იყო აქაური ქალის როლი.

ნიგალის ხეობის ცხოვრებას მძიმე დალი დაასვა პირველმა მსოფლიო ომმა. ხეობა ომის ასპარეზად იქცა. განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა მას შემდეგ, როდესაც გერმანიის ნაქეზებით ომში ჩაება ოსმალეთი.

ომის საწყის ეტაპზე ოსმალეთის არმიის საბრძოლო გეგმა ითვალისწინებდა ართვინის ოკრუგში ძირითადი კომუნიკაციების – სპილენძით მდიდარი რაიონების, აგრეთვე ბათუმთან, ართვინთან, არტაანთან და ყარსთან დამაკავშირებელი გზების ხელში ჩაგდებას. ამ მიზნით 1914 წ. 30 ოქტომბერს ოსმალეთის არმიამ არხავესა და ხოფას მხრიდან, ჩხალისა და მურღულის ხეობებით შეტევა დაიწყო ართვინის მიმართულებით. ბრძოლის ობიექტად იქცა მურღულის ხეობაში მდებარე ჭინკათხე-დანსულის სპილენძის სადნობი ქარხანა. უკვე 1 ნოემბრისათვის 500 ოსმალ მებრძოლი მოადგა ქარხნის ტერიტორიას. აქ განლაგებული რუსთა ჯარის ნაწილები საკმარისი არ იყო თავდასხმის მოსაგერიებლად, რის გამოც ართვინის ოკრუგის უფროსის პოლკოვნიკ ლავროვის ხელმძღვანელობით ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისაგან და ადგილობრივ მკვიდრთაგან ჩამოყალიბდა მოხალისეთა რაზმი. ისინი 3 ნოემბრამდე, ბათუმიდან დამხმარე რაზმის მოსვლამდე, იგერიებდნენ იერიშებს.<sup>1</sup> ასევე წარუმატებლად დამთავრდა „ჩივთე ქოფრის“ მიდამოებში წარმოებულ ოსმალთა 1.000 კაციანი რაზმის შეტევა ბორჩხის მიმართულებით.

3 ნოემბერს ბათუმიდან ბორჩხაში საგანგებოდ ჩავიდა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ელშინი. მისი ბრძანებით 4 ნოემბერს რუსთა არმიას უნდა წამოეწყო კონტრშეტევა ორი მხრიდან სპილენძის სადნობი ქარხნებიდან და სოფელ ქურადან. მაგრამ ოსმალებმა რუსთა არმიას შეტევის დაწყება დაასწრეს და შესძლეს ქარხნის ირგვლივ მდებარე სიმაღლეების ხელში ჩაგდება. ასეთ პირობებში რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა თავდაცვით ბრძოლებზე გადასულიყო. საღამოს დიდი ზარალის ფასად ქარხნის ტერიტორია რუსებმა დატოვეს.

ოსმალთა გაძლიერებული შენაერთების კონტრშეტევის საფრთხემ ართვინში, არტანუჯში და ორჯოხში გამაგრებული რუსთა არმია აიძულა ბორჩხისაკენ დაეხია. გენ. ელშინის დავალებით ამ ნაწილებს ნაბრძანები ჰქონდათ აეფეთქებინათ მდ. ჭოროხზე არსებული ხიდი ქალაქ ართვინთან.

ოსმალებმა ჭარბი ძალებით მოახერხეს ბორჩხის, ქ. ართვინის და არტანუჯის აღება. ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამპყრობლები მკაცრ ასიმი-

<sup>1</sup> “Закавказская речь”, 1914, №272.



ლატორულ პოლიტიკას ახორციელებდნენ. განსაკუთრებით ავიწროებდნენ სომეხ მოსახლეობას. გადმოცემით ოსმალები სომეხებს ართვინის ციხიდან მდინარე ჭოროხში ცოცხლად ყრიდნენ.

თუმცა ოსმალთა მმართველობა ხანმოკლე აღმოჩნდა. სარიყამიშთან დამარცხების შემდეგ სწრაფად დაიწყეს უკან დახევა. უკან დახეული ნაწილები წვავდნენ სოფლებს, იტაცებდნენ საქონელს, ქონებას, ძალად მიერეკებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამის შესახებ გაზეთი „თანამედროვე აზრი“ წერდა: „ყველაზე მეტად განადგურდა მდ. ჭოროხის პირას მდებარე სოფლები აჭარისწყლიდან ართვინამდე. აქ მცხოვრებნი თითქმის აღარ არიან. ვინც ცოცხალი დარჩა, ოსმალებმა ტყვედ წაასხეს“.<sup>1</sup>

რუსეთის არმიის წარმატებული შეტევით 1915 წ. თებერვლის შუა რიცხვებში განთავისუფლებულ იქნა ბორჩხა. ხოლო მარტის დამდეგს ძანსულის სპილენძის სადნობი ქარხანა. ოსმალები განდევნილ იქნენ მურღულის ხეობიდან. ამის შემდეგ ბორჩხისა და არტაანის რაზმების წინაშე დაისახა გეგმა, რომლის მიხედვითაც ორმხრივი დარტყმით უნდა გაეთავისუფლებინათ მტრის მიერ კარგად გამაგრებული ართვინი. 16 მარტის კონტრშეტევის შედეგად რუსთა არმიამ ქ. ართვინიც დაიკავა. მალე ოსმალებისაგან სრულიად გაიწმინდა ნიგალის ხეობა და მთელი ბათუმის ოლქი.

პირველმა მსოფლიო ომმა მძიმე შედეგები მოუტანა ნიგალის ხეობას, მთელ ჭოროხის მხარეს. მან დიდად შეაფერხა საზოგადოებრივი ცხოვრება.

მძიმე აღმოჩნდა პოლიტიკური შედეგიც. ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე არდაგანის ოლქთან და სხვა რაიონებთან ერთად თურქეთს გადაეცა ნიგალის ხეობის ზემო ნაწილი<sup>2</sup> (ბელღევანის, ჩხალის, მურღულის, ქლასკურის, დევსქელის და სხვა ხეობები). ხეობის ქვემო ნაწილი კი საქართველოს საზღვრებში დარჩა და სოფლებით – კირნათი, ქვემო მარადიდი, გვარა – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით კირნათის თემში, ხოლო მასზე მიწერილი მირვეთი და მაჭახლისპირი აჭარისწყლის სასოფლო თემში შევიდა.

ამრიგად, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ რუსეთის მმართველობაში მყოფ დედასამშობლოს შემადგენლობაში დაბრუნებული ნიგალის ხეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუმცა, რთული იყო ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრება, რაც იწვევდა მოსახლეობის გადასახლებას ოსმალეთში. მძიმე აღმოჩნდა პოლიტიკური შედეგიც, რაც ხეობის ორ ნაწილად გაყოფით დასრულდა.

<sup>1</sup> „თანამედროვე აზრი“, 1915, №32.

<sup>2</sup> თაყაიშვილი, *სამუსლიმანო საქართველო*, ტ. II, გვ. 226; თოიძე, *ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც*, გვ. 197.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

- „ახალი კვალი“, 1916, 2 მაისი – გაზეთი „ახალი კვალი“, 1916, 2 მაისი.
- ბავრელი, ნავით მოგ ზაურობა ჭოროხზე** – ბავრელი ს., ნავით მოგ ზაურობა ჭოროხზე, გაზეთი „ივერია“, 1879, №2.
- ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში** – ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999.
- ბასილაძე, განათლების საკითხისათვის ართვინში (1878-1921 წლები)** – ბასილაძე ი., განათლების საკითხისათვის ართვინში (1878 -1921 წლები), „ართვინი და ართვინის რეგიონი – წარსული და თანამედროვეობა“, ქუთაისი, 2022.
- „თანამედროვე აზრი“, 1915, №32 – გაზეთი „თანამედროვე აზრი“, 1915, №32.
- თაყაიშვილი, სამუსლიმანო საქართველო** – თაყაიშვილი ე., სამუსლიმანო საქართველო, „დაბრუნება“, გ. შარადის საერთო რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1991.
- თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც** – თოიძე ლ., ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბილისი, 1991.
- „ივერია“, 1886, №52 – გაზეთი „ივერია“, 1886, №52.
- კახიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში** – კახიძე ნ., სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის სანარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი, სდსჟპ, XIV, 1987.
- „კვალი“, 1896, №44 – გაზეთი „კვალი“, 1896, №44.
- კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე** – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984.
- მალაყმაძე, ლივანის ხეობა** – მალაყმაძე რ., ლივანის ხეობა, თბილისი, 2008.
- სამუშია, ართვინის (ლივანის ციხე)** – სამუშია ჯ., ართვინის (ლივანის ციხე), „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები“, ტ. I, თბილისი, 2020.
- ცინცაძე, ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა** – ცინცაძე ზ., ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, სდსჟპ, IX, 1980, გვ. 115-127.
- წერეთელი, არეულობის მიზეზი აჭარა ლივანაში** – წერეთელი გ., არეულობის მიზეზი აჭარა ლივანაში, გაზეთი „დროება“, 1879, №24.

**წულაძე, ს. ძანსული** – წულაძე ა., ს. ძანსული, გაზეთი „თანამედროვე აზრი“, 1915, №7.

**ჭიჭინაძე, ნერილი მურღულიდან** („ივერია“, №171) – ჭიჭინაძე ზ., ნერილი მურღულიდან, გაზეთი „ივერია“, 1893, №171.

**ჭიჭინაძე, ნერილი მურღულიდან** („ივერია“, №172) – ჭიჭინაძე ზ., ნერილი მურღულიდან, გაზეთი „ივერია“, 1893, №172.

**ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში** – ჭიჭინაძე ზ., მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913.

**ხოსიტაშვილი, ართვინი ქართული პრესის ფურცლებზე** – ხოსიტაშვილი მ., ართვინი ქართული პრესის ფურცლებზე, თბილისი, 2020.

**ჯაიანი, ნერილები შავშეთიდან** – ჯაიანი ივ., ნერილები შავშეთიდან, თბილისი, 1991.

“**Закавказская речь**”, 1914, №272 – “Закавказская речь”, 1914, №272.

**Юрченко, Заметки о поездке** – Юрченко, Заметки о поездке по ущельям рек Чорох-су до Артвина и Мургули-су до Нижней Куры в Батумской области, გაზეთი “Кавказ”, 1881, №206.

## **The Nigali Gorge after Returning to Motherland (1878-1921)**

### Summary

After the successful end of the Russo-Ottoman war of 1877-1878, along with other historical provinces, Nigali Gorge was returned to the united Georgian territory as part of Klarjeti. Administratively, it was incorporated into the Artvin Okrug. Later, the territory was divided into two parts. One part was included in Batumi Okrug, and the other remained within the Artvin Okrug.

The tax system, military obligations, etc. were unbearable for the local population. Each year, Ottoman agents attempted to provoke migration, which was facilitated by the actions of Russian officials.

In 1879, a large part of the population was evicted due to the entry of the Russian army into the Murghuli Gorge, part of the Nigali Gorge, and the dissatisfaction caused by their arbitrariness. The condition of the Muhajirs was quite difficult. Some migrants could not survive the journey and died on the way. Those who arrived to the destination had to live in difficult conditions. Some were dying of hunger and cold. To obtain food, they sent trusted individuals to their estates, where they gathered assistance in the form of money and supplies. Some of the exiles began to return.

The ruling circles did not care about the population's resettlement. On the contrary, they often facilitated this process. The people who came from Ajara and Imereti often settled on the lands abandoned by the Muhajirs in the Murghuli Gorge, and were welcomed by the residents who remained on the spot.

According to our field materials, most of those who migrated from the villages of the Nigali gorge later settled in Bursa, Inegol, Adabazar, Izmit and other cities. Today, their descendants are scattered in different cities and villages of Turkey, who remember their ethnic origin well and talk passionately about their original place of residence.

After the war of 1877-1878, relative tranquility ensued, and the effects soon became evident. To some extent, city life was revived, agriculture and trade were promoted, and construction activities became widespread. Attention was paid to the detection and study of natural resources. The copper-rich deposit of the village of Dzansuli in the Murghuli Gorge, as well as the deposits of Khodi in the Kholdursu gorge above Artvin, and the deposits of the village of Kvartskhani, were especially distinguished. The foundation was laid for ore mining industry. Initially, there was no

ore processing plant at the site. The mined ore was transported to the village of Erge via the Chorokhi River and overland, where a copper smelter operated from 1889-1890. In the following years, copper smelters were constructed closer to the ore mining sites in Khodi, Dzansuli and Kvartskhani.

The growth in population and trade caused by the development of mining, accelerated the formation of urban settlements such as Borchkha, Dzansuli, Murghuli. The city of Artvin was one of the main trade centers in the Nigali Gorge. Both local and foreign merchants regularly gathered there.

After returning to the motherland, cultural and educational life began to revive in Nigali Gorge. Promoting literacy in the Georgian language became a priority, with significant contributions from Akhmed Khalvashi and Iv. Jaiani. The latter spent several years in Borchkha and taught local children to read and write in Georgian. In this regard, the role of Z. Chichinadze is also important.

Under the leadership of Akhmed Khalvashi, the first Georgian primary school was established in 1884, where both Georgian and Russian were taught.

Akhmed's son Harun Effend Khalvashi was also interested in the education of the youth from Maradidi. After his father's death, he personally funded a Georgian language teacher, but the local residents, dissatisfied with the previous Russian teacher's unfavorable conduct, refused to send their children to the school, except for the Khalvashi family.

Despite living in the Ottoman Empire, the Georgian spoken language was still viable. The population mainly preserved Georgian traditions, customs, and most importantly, the native Georgian language. The role of the local women was significant in this regard.

The life of the gorge was severely affected by the First World War. The gorge became an arena of war. Military operations were also conducted in the Nigali Gorge.

The political result was also severe. Under the Treaty of Kars, the upper part of the Nigali Gorge (Beghlevani, Chkhali, Murghuli, Klaskuri, Devskeli and other gorges) was ceded to Turkey along with Ardagan Okrug and other districts. The lower part of the gorge remained within the borders of Georgia with its villages: Kirnati, Kvemo Maradidi, Gvara – incorporated into the Kirnati community by administrative-territorial division, while the villages of Mirveti and Machakhlipiri ascribed to it, were assigned to the Acharistskali rural community.